მოკლე ავტობიოგრაფია

მე, ნიკოლოზ მარსაგიშვილი, დავიბადე 1974 წლის 16 ივნისს, ქალაქ თბილისში.

1990 წელს დავამთავრე ქ. კოჩუბეის (რუსეთის ფედერაცია) N1 საშუალო სკოლა.

1997 წელს დავამთავრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

სამუშაო გამოცდილება

1990-2003 წლებში ვმუშაობდი დუშეთის რაიონულ პროკურატურაში, გამომძიებლის თანამდებობაზე;

2003-2004 წლებში ვიყავი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის საგამოძიებო სამმართველოს გამომძიებელი;

2004-2005 წლებში ვმუშაობდი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის აღმოსავლეთის საგამოძიებო სამმართველოს უფროსი გამომძიებლის თანამდებობაზე;

2005 წელს ვიყავი მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის განყოფილების უფროსი;

2005-2006 წლებში ვმუშაობდი დუშეთის რაიონული პროკურორის თანამდებობაზე;

2006-2007 წლებში ვმუშაობდი მცხეთა-მთიანთის საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორის თანამდებობაზე;

2007-2008 წლებში ვიყავი შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი;

2008-2017 წლებში ვიყავი გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და, ამავე დროს, დაკისრებული მქონდა გორის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება;

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით, დავინიშნე გორის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ; 2017 წლის მაისიდან 2019 წლის მაისის ჩათვლით ასევე ვიყავი გორის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე;

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 24 მაისის N1/63 გადაწყვეტილებით, ამავე წლის 3 ივნისიდან განვმწესდი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ; თანამდებობაზე დავინიშნე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე;

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 20 ივნისის N1/131 გადაწყვეტილებით, 2019 წლის 24 ივნისიდან დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა

და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლედ;

2019-2020 წლებში ვიყავი თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე.

2020 წლის 18 მარტიდან 2024 წლის 18 მარტამდე ვიყავი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, ხოლო 2020 წლის 30 ოქტომბრიდან 2024 წლის 18 მარტამდე - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი.

2024 წლის 24 მარტიდან საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ ახალი ვადით არჩეული ვარ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრისა და მდივნის თანამდებობაზე.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი
20.06.2024